გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 24

2024 წლის 13 დეკემბერი
ქ.გორი

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 აპრილის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.
„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 აპრილის №22 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/04/2023, 020080160.35.148.016753) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილების 1-ლი მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1
საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 55^{2} მუხლით, 55^{5}, 55^{6}, 64^{2}, 77^{1} და 77^{2} მუხლებით, 82^{5} მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე მუხლით, 119^{1} მუხლით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, 125^{4} მუხლით, 134-135^{1} მუხლებით, 146^{1} მუხლით, 148-ე მუხლით, 150-150^{1} მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^{2} მუხლით, 152-ე მუხლით, 152^{2} მუხლით, 152^{5}-152^{9} მუხლით, 153^{3} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^{4} მუხლით, 156^{1} მუხლით, 158^{5} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159-ე მუხლით, 159^{1} მუხლით, 166^{2} მუხლით და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვის, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლებამოსილება მიენიჭოს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალურ ინსპექციის“ (ს/ნ 418481011) მიერ უფლებამოსილ თანამშრომლებს (შემდგომში – ინსპექციის თანამშრომლები)“.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**